საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-15/15898
10/10/2022

15898-2-15-2-202210101556

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარეს,
ბატონ ელგუჯა ბაგრატიონს

ბატონო ელგუჯა,

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში (შემდგომში - დეპარტამენტი) შემოსულია თქვენი 2022 წლის 22 სექტემბრის №09-02-16/591 წერილი, რომლითაც მოთხოვნილია ბათუმის შემოვლითი საავტომობილო გზის (E-70) მშენებლობასთან დაკავშირებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

დეპარტამენტმა კომპეტენციის ფარგლებში განიხილა თქვენი წერილი და წერილის **პირველ და მე-2 პუნქტებთან** დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ბათუმის შემოვლითი საავტომობილო გზის კმ-1+000-კმ13+325 მონაკვეთის მშენებლობასთან (შემდგომში - პროექტი), ასევე გზის მონაკვეთის პროექტირებასა და ხარჯთაღრიცხვის შედგენასთან დაკავშირებით, არ გაფორმებულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება. დანართის სახით გიგზავნით დეპარტამენტსა და კომპანიას შორის 2017 წლის 29 აგვისტოს №RCIP/CW/ICB-04 და 2010 წლის 13 დეკემბრის №ABRDP/CS/SSS-01 ხელშეკრულებებს. ამასთან, გაცნობებთ, რომ სამშენებლო სამუშაოები აღნიშნულ გზის მონაკვეთზე არ არის დასრულებული, შესაბამისად, მოკლებული ვართ შესაძლებლობას მოგაწოდოთ წერილის მეორე პუნქტით მოთხოვნილი მიღება-ჩაბარების დოკუმენტების ასლები.

წერილის **მე-3 პუნქტთან** დაკავშირებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას.

წერილის **მე-4 და მე-5 პუნქტების** პასუხად გაცნობებთ, რომ ბათუმის შემოვლითი საავტომობილო გზის კმ-1+000-კმ13+325 მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოების დასრულება იგეგმება 2023 წელს. ამ ეტაპზე სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს დაბალი ტემპით. რაც შეეხება მშენებლობაზე დასაქმებულ პირებზე შრომის ანაზღაურების გაცემის საკითხს, აღნიშნული წარმოადგენს ორ სამართალსუბიექტს შორის (კომპანიასა და მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირის) არსებულ ურთიერთობას, რომელიც არ

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

წარმოადგენს დეპარტამენტის კომპეტენციას და შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებით დეპარტამენტი მოკლებულია შესაძლებლობას გამოიკვლიოს და მოგაწოდოთ რაიმე სახის ინფორმაცია.

დანართი: 148 (ას ორმოცდარვა) ფურცელი.

პატივისცემით,

სალომე წურწუმია

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე